



პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამების  
განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს

გადაწყვეტილება № 04

2020 წ. "20" 02

ქ.თბილისი

ა(ა)იპ - საქველმოქმედო ფონდი საქართველოს კარიტასისთვის პროფესიული  
მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭებაზე უარის თქმის შესახებ

დაწესებულების მიერ პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების  
მოპოვების განაცხადში ასახული ინფორმაციის, პროფესიული მომზადების პროგრამებისა  
და პროფესიული გადამზადების პროგრამების ექსპერტის დასკვნისა და პროფესიული  
მომზადების/გადამზადების პროგრამების განხორციელების უფლების მიმნიჭებელი  
საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის,  
შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს მთავრობის №131  
დადგენილების მე-9 მუხლის მე-10 და მე-11 პუნქტების, მე-11 მუხლის პირველი პუნქტის ბ)  
ქვეპუნქტის შესაბამისად,

საბჭომ გადაწყვიტა:

1. ა(ა)იპ - საქველმოქმედო ფონდ საქართველოს კარიტასს (ს/კ: 405033501) უარი ეთქვას  
პროფესიული მომზადების პროგრამის „შინმოვლა“ განხორციელების უფლების  
მინიჭებაზე.
2. პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამების განხორციელების უფლების  
მიმნიჭებელი საბჭოს 2020 წლის 20 თებერვლის №3 სხდომის ოქმის პირველი ნაწილი  
ცნობილ იქნას ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად.
3. გადაწყვეტილება ძალაში შევიდეს 2020 წლის 20 თებერვლიდან.

4. პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამების განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს გადაწყვეტილების გასაჩივრება შესაძლებელია მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში სარჩელის შეტანის გზით. მისამართი: თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი №6.

საბჭოს თავმჯდომარე  
მარიამ ქუჩულორია

მდივანი  
მარიკა ზაქარეიშვილი

